საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

<u>შეფასების ობიექტი:</u>
შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის განცხადების საფუძველზე
დაწყებული მოკვლევის შესაბამისად,
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის
2015 წლის 22 აპრილის N45 ბრძანებით დამტკიცებული
გადაწყვეტილება

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

თბილისი
ივნისი, 2019 წელი

შინაარსი

შესავალი 3

1. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება 5

2. შესაბამისი ბაზარი 6

2.1. ზოგადი მიმოხილვა 6

2.2. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 6

2.3. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 7

2.4. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოები 7

3. გადაწყვეტილების გავლენა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის ფორმირებაზე 7

4. გადაწყვეტილების ზეგავლენა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობაზე 9

5. შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა . 13

დასკვნა 16

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) თავმჯდომარის 2015 წლის 22 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებას. სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-10 მუხლთან მიმართებაში სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქმედებების შეფასება წარმოადგენს სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. აღნიშნული მუხლის ფარგლებში სააგენტოს შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის გავლენა და ზემოქმედება, რასაც საჯარო დაწესებულებების კონკრეტული ქმედებები ახდენს ქვეყნის შესაბამის ბაზრებზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე.

ბუნებრივია, კანონის მე-10 მუხლში დასახელებული ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაში. თანამედროვე ეკონომიკურ მოცემულობაში სახელმწიფოს როლს დამატებით მნიშვნელობას სძენს სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჯარო მმართველობით ფუნქციას იმდენად, რამდენადაც „მისი სამართლებრივი შედეგები აისახება როგორც მმართველობის კანონიერებაზე, სახელმწიფო სახსრების რაციონალურ განაწილებასა და ხარჯვაზე, სახელმწიფოს, როგორც კეთილსინდისიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის პარტნიორის იმიჯის ჩამოყალიბებაზე, ასევე თავად სამეწარმეო სუბიექტებისთვის ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების, კანონიერი სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფაზე“.[1]

სახელმწიფო შესყიდვების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციები გვევლინებიან ბაზრის მონაწილეებად, რაც ბუნებრივია მათ შესაძლებლობას აძლევს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნის სხვადასხვა შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და განვითარებაზე. ერთ-ერთ ასეთ ბაზარს კი წარმოადგენს საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებში საექსპერტო მომსახურების შესაბამისი ბაზარი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად, სახელმწიფო შესყიდვებში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხდება დიდი მოცულობის თანხების დახარჯვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის[2] მიხედვით, 2018 წელს

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - 21/07/2014, ბს-667-642(კ-13).

[2] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, იხ. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx

სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ 4,087,214,400 ლარი შეადგინა.[3] აქედან, ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 3,308,643,197 ლარის ღირებულების შესყიდვა, ხოლო გამარტივებული შესყიდვის გზით დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 778,571,203 ლარი შეადგინა.[4] აღნიშნული ციფრები ნათლად მეტყველებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციაზე.

საქართველოს ეკონომიკის მასშტაბების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჯარო სექტორს, სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით, აშკარად შესწევს იმის რეალური უნარი, რომ არსებითი გავლენა მოახდინოს ქართული ეკონომიკის სტრუქტურასა და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვებიდან მომდინარე მატერიალური სიკეთის ეკონომიკურ აგენტებს შორის იმგვარი გადანაწილება, რომ ამით არ მოხდეს კონკურენციის შეზღუდვა და ეკონომიკური აგენტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების ექსპერტიზა წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის სრულფასოვნად და კანონის შესაბამისად განხორციელების ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ სავალდებულო შემთხვევებს, როდესაც მიმწოდებლებისგან აუცილებელია შესაბამისი ინსპექტირების ორგანოების მიერ გაცემული დასკვნის წარდგენა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის. აღნიშნული მომსახურების შედეგად კი ამ სფეროში ოპერირებადი ეკონომიკური აგენტები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავლებს, რაც ბუნებრივია განაპირობებს მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფო შესყიდვებში საექსპერტო მომსახურებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ამ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იმდაგვარი გადანაწილება, რომ არ შეიზღუდოს მათ შორის ჯანსაღი კონკურენცია. სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მხოლოდ ერთი სუბიექტის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის მოთხოვნა ჩაითვალა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებად.

ვინაიდან შესაბამის ბაზარზე უკვე თვალშისაცემია შპს „ოპტიმალ გრუპ+"-ის საქმეზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანმდევი ეფექტები, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, დეტალურად მოახდინოს მათი შეფასება, რაც ხელს შეუწყობს დაგროვილი გამოცდილების სიღრმისეულ გაანალიზებასა და არსებული პრაქტიკის სრულყოფას. კონკურენტულ გარემოზე 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების შეფასებისას სააგენტო, მოცემულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს სხვადასხვა პარამეტრით.

---

[3] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, იხ. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx გვ. 5.

[4] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, იხ. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2018-tslis-saqmianobis-angarishi-geo.pdf.aspx გვ. 5.

კერძოდ, ეფექტები შეფასებულ იქნება სუბიექტების რაოდენობის ცვლილების დინამიკის (რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიდგომით, წარმოადგენს კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს[5]), შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიდგომების ცვლილების მიხედვით.

1. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება

2015 წლის 4 მარტს სააგენტოს მიერ დაწყებული მოკვლევის საფუძველი გახდა შპს „ოპტიმალ გრუპ+"-ის განცხადება, რომლითაც განმცხადებელი აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ რიგი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა, სატენდერო დოკუმენტაციაში მოითხოვდნენ მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენას, რაც განმცხადებლის მოსაზრებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას. კერძოდ, საქმის მოკვლევის მიმდინარეობისას, შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების ანალიზის შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ 2014 წლის 17 დეკემბრიდან (განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მიღების შემდეგ) 2015 წლის 20 აპრილამდე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იყო ჯამში 169 ელექტრონული ტენდერი, რომელთაგანაც 47 შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ცალსახად მოთხოვნილი იყო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.[6] აღნიშნული გარემოება მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მსგავსი მიდგომა არ წარმოადგენდა მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის პრობლემას, არამედ იგი მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აყენებდა მთლიანად შესაბამისი ბაზრის განვითარებასა და ამ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ექსპერტიზის ჩატარების უფლება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სამშენებლო, ფინანსურ და ბუღალტრულ სფეროებში. უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქმის მოკვლევის მიმდინარეობისას შპს „ოპტიმალ გრუპ+" უკვე ფლობდა შესაბამის აკრედიტაციას, თუმცა სადავო სატენდერო პირობის გამო მას ეზღუდებოდა სახელმწიფო შესყიდვებში შესაბამისი მომსახურების გაწევისა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. სხვაგვარად რომ ითქვას, სადავო სატენდერო პირობის შედეგად, აღნიშნული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა რჩებოდა მხოლოდ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ხოლო შპს „ოპტიმალ გრუპ+"-ს ეზღუდებოდა შესაბამის ბაზარზე მსგავსი მომსახურების მიწოდება, რაც მისთვის ქმნიდა არათანაბარ კონკურენტულ გარემოს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო სატენდერო პირობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა არა მარტო შპს „ოპტიმალ გრუპ+"-

[5] OECD, 2009, Recommendation of the council on competition assessment, გვ. 4.
[6] იხ. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, გვ. 7.

ს, არამედ სხვა ეკონომიკურ აგენტებსაც, რომლებსაც ჰქონდათ იმის სურვილი ან განზრახვა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის შესაბამის ბაზარზე გაეწიათ აღნიშნული მომსახურება. ეს კი გულისხმობს, რომ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მსგავსი მიდგომა ქმნიდა მნიშვნელოვან ბარიერს არა მარტო შპს „ოპტიმალ გრუპ+"-ის, არამედ შესაბამისობის შემფასებელი სხვა დაწესებულებებისთვისაც.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით სააგენტომ დაადგინა, რომ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში მხოლოდ ერთი პირის მიერ გაცემული შესაბამისობის დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით შემსყიდველი ორგანიზაციების - სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის" მე-10 მუხლის დარღვევას.

2. შესაბამისი ბაზარი

2.1. ზოგადი მიმოხილვა

იმისათვის, რომ ზუსტად შეფასდეს განსახილველი გადაწყვეტილების ეკონომიკური ეფექტები, აუცილებელია განისაზღვროს, ამ გზით გაუმჯობესდა თუ არა კონკურენციის ხარისხი შესაბამის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება.

კანონის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი გულისხმობს საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფეროს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" (შემდგომში - „მეთოდური მითითებები") მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქტიული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

2.2. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

მეთოდური მითითებების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. საქონლის პროდუქციული

საზღვრები დგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის დოკუმენტის გაცემას. აქედან გამომდინარე, განსახილველი გადაწყვეტილების ეფექტების შეფასებისა და წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის, შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ უნდა იქნეს **სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურება (და რელევანტური დოკუმენტის გაცემა).**

2.3. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

მეთოდური მითითებების მე-10 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სფეროში შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, წარმოებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ორგანიზება ხდება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ უნდა იქნეს ქვეყნის მთელი ტერიტორია.**

2.4. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოები

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სამშენებლო სფეროში შესაბამისობის დადასტურების მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

3. გადაწყვეტილების გავლენა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის ფორმირებაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 22 მარტის წერილიდან[7] ირკვევა, რომ შესყიდვების სააგენტოს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა კონკურენციის სააგენტოს მიერ 2015 წლის 22 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაცია. უფრო მეტიც, შესყიდვების სააგენტოს მიერ ასევე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც განთავსდა შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. წერილიდან ირკვევა, რომ შესყიდვების სააგენტოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ხდება

[7] რეგ. N01/257, 22.03.2018

სათანადო კონსულტაციების გაწევა. ამასთან, შესყიდვების სააგენტოს მიერ სისტემატურად ხორციელდება შესაბამისი რეაგირება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მონიტორინგის პროცესში.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2018 წლის 11 დეკემბრის წერილის[8] მიხედვით, საბჭოში 2015 წლის 22 აპრილამდე გასაჩივრდა მხოლოდ ორი ტენდერი იმ საფუძვლით, რომ სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა მხოლოდ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დოკუმენტის წარდგენის შესაძლებლობას. ერთ-ერთი მათგანი დაუშვებლად იქნა ცნობილი გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლის გამო. ხოლო მეორე საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას დაევალა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე შესაბამისი სხდომის ოქმის გადასინჯვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

2015 წლის 22 აპრილის შემდეგ, დღეის მდგომარეობით საბჭოში ამავე საფუძვლით გასაჩივრდა 32 ტენდერი, რომელთაგან:

- ორი საჩივარი არ დაკმაყოფილდა: ერთი იმ საფუძვლით, რომ ექსპერტიზის დასკვნას უკვეთავდა და ხარჯებს ფარავდა თავად შემსყიდველი ორგანიზაცია და ხსენებული მომსახურების შესყიდვა ტენდერის ფარგლებში არ ხდებოდა. ხოლო მეორე შემთხვევაში კი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგან სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნის წარდგენის მოთხოვნას.
- ერთ შემთხვევაში საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა. ვინაიდან გასაჩივრებულ ტენდერში მონაწილეობა არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო ტენდერს მიენიჭა სტატუსი - „არ შედგა“. ამიტომ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას დაევალა მსგავსი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბება კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრული დაცვით.
- ხოლო დანარჩენ 29 შემთხვევაში საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა. შესაბამისად, საბჭომ თავადვე გადაწყვიტა სადავო საკითხი და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას მიუთითა, რომ გაეუქმებინა შესაბამისი სხდომის ოქმი და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები ჩამოეყალიბებინა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ მითითებული საფუძვლით საბჭოში ბოლო საჩივარი შევიდა 2015 წლის 15 მაისს.[9]

---

[8] რეგ. N01/1050, 11.12.2018

[9] სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატის 2018 წლის 11 დეკემბრის N147 წერილი (რეგ. 01/1050, 11.12.2018)

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილში აღნიშნულია, რომ განხორციელებულმა პრევენციულმა ღონისძიებებმა განაპირობა ყოველწლიურად მსგავსი ფაქტების კლების ტენდენცია და დღეის მდგომარეობით მონიტორინგის განხორციელებისას სატენდერო პირობებში აღარ გვხვდება სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და გაცემულ რეკომენდაციებთან შეუსაბამო ჩანაწერები.[10]

დასახელებული გარემოებები ნათლად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების პოლიტიკა სატენდერო დოკუმენტაციის ფორმირების კუთხით აშკარად შეიცვალა და მათი მხრიდან სისტემატურად ხდება სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება შესაბამისი ბაზრის განვითარებაზე.

4. გადაწყვეტილების ზეგავლენა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობაზე

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხარისხის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს ამ ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა. სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ანალიზი წარმოადგენს ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ პარამეტრს. შესაბამისად, ამ კუთხით სააგენტოს გადაწყვეტილების ეფექტის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობის ცვალებადობის სიღრმისეული ანალიზი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გაირკვეს, თუ რომელი ეკონომიკური აგენტები შეიძლება იქნენ მიჩნეული დასახელებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებად.

განსახილველ გადაწყვეტილებაში სააგენტო მიუთითებს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები არ არიან ვალდებულნი სამშენებლო სამუშაოების შესაფასებლად მიიღონ ბაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტის დასკვნა, რადგან ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ზიანი არ უნდა მიაყენოს შემსყიდველი ორგანიზაციების კანონიერ ინტერესებს და არ უნდა შეაფერხოს მათი საქმიანობა.[11] შესაბამისად, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლოა მოითხოვონ პრეტენდენტებისგან ისეთი სუბიექტების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომელთა კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია - ერთი მხრივ აკრედიტაციით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით.

განსახილველი გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ მოახდინონ დაცვის ღირსი სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება სატენდერო დოკუმენტაციაში. თუმცა, ამ

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 13 დეკემბრის N4280 წერილი (რეგ. 01/1065, 14.12.2018)
[11] იხ. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, გვ. 31.

გარემოებამ ბუნებრივია, არ უნდა გამოიწვიოს კონკურენციის არათანაზომიერი და არამართლზომიერი შეზღუდვა. სწორედ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით ჩათვალა სააგენტომ, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და სხვა აკრედიტებული სუბიექტების შესაბამის ბაზარზე თანაბრად დაშვება. ეს კი გულისხმობს, რომ თანაბრად უნდა მოხდეს ამ სუბიექტების მიერ გაცემული შესაბამისობის დასკვნის მიღება, როდესაც საქმე საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვას ეხება.

სააგენტოს მიერ განსახილველ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომა თავის მხრივ არ გულისხმობს იმას, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები შეზღუდულნი არიან, მოახდინონ არააკრედიტირებული სუბიექტების მიერ გაცემული შესაბამისობის დოკუმენტის სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სხვაგვარად რომ ითქვას, გადაწყვეტილება არ ზღუდავს შემსყიდველი ორგანიზაციების უფლებას, მოახდინონ შესაბამისობის დოკუმენტის გამცემი სუბიექტების წრის უფრო მეტად გაფართოება, ვინაიდან აღნიშნული განეკუთვნება მათ დისკრეციულ უფლებამოსილებას. ეს კი გულისხმობს კონკურენციის კანონმდებლობის გადმოსახედიდან სააგენტოს მიერ იმის დაშვებას, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ იმის შესაძლებლობა, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და სხვა აკრედიტებული სუბიექტების გარდა, მოახდინონ ასევე სხვა სუბიექტების დაშვებაც შესაბამის ბაზარზე, თუ რელევანტური კანონმდებლობა იძლევა ამის საშუალებას. სააგენტოს რეკომენდაციით დაწესებულ იქნა შესაბამის ბაზარზე სუბიექტების დაშვების მხოლოდ ის მინიმალური ზღვარი, რომლის შენარჩუნებაც აუცილებელია, ერთი მხრივ, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. შეიძლება ითქვას, რომ **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ერთად სხვა აკრედიტებული სუბიექტების მიერ გაცემული შესაბამისობის დოკუმენტის დაშვების აუცილებლობა და ვალდებულება წარმოადგენს ამ კუთხით სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ზღვარს.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ განსახილველი გადაწყვეტილების გავლენის შეფასების მიზნებისათვის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და აკრედიტებული სუბიექტების გარდა, სხვა ეკონომიკურ აგენტებზე მსჯელობა და მათი მონაცემების გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილი. **ამდენად, წინამდებარე დოკუმენტში შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობის ცვალებადობაზე განსახილველი გადაწყვეტილების ეფექტების შესაფასებლად, მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სუბიექტები, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ერთად** (იხ. *დიაგრამა N1*). **ამიტომ, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, მხოლოდ აღნიშნული სუბიექტები წარმოადგენენ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს.**

აქვე აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინამდებარე დოკუმენტში გადაწყვეტილების ეფექტები შეფასებულია არა მარტო სუბიექტთა რაოდენობის, არამედ ასევე

შესაბამის ბაზარზე დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით.[12] ზემოთ მოცემული მსჯელობისა და არგუმენტაციის შესაბამისად, სხვადასხვა პარამეტრის ანალიზისას შეფასების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ზემოთ დასახელებულ სუბიექტებთან დაკავშირებული რელევანტური მონაცემები.

შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობაზე განსახილველი გადაწყვეტილების ზეგავლენისა და ეფექტების შეფასების მიზნით, სააგენტომ სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ორგანოსგან - აკრედიტაციის ცენტრისგან გამოითხოვა ინფორმაცია, 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სამშენებლო სფეროში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების შესახებ. აკრედიტაციის ეროვნულმა ცენტრმა სააგენტოს მიაწოდა შესაბამისი სუბიექტების შესახებ ინფორმაცია,[13] საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ იცვლებოდა აღნიშნული რაოდენობა წლების მიხედვით - 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკულად გამოსახულია N1 დიაგრამაზე.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის დასახელებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებად მიჩნეულ იქნა სამშენებლო სფეროში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოები. აქედან გამომდინარე, წლების მიხედვით შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის გამოთვლისას სააგენტომ იხელმძღვანელა აკრედიტაციის მოწმობის მიღების თარიღების შესაბამისად.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არ შეიძლება ჩაითვალოს აკრედიტირებულ პირად იმდენად, რამდენადაც იგი შექმნილია კანონის საფუძველზე და საექსპერტო საქმიანობას ახორციელებს რელევანტური კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არ წარმოადგენს აკრედიტებულ სუბიექტს, წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის დიაგრამა N1-ზე მოცემულია ინფორმაცია აღნიშნული სუბიექტის ჩათვლით, ვინაიდან ეს უკანასკნელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურებას.

[12] იხ. 2019 წლის 16 მაისის მოხსენებითი ბარათი N03/168

[13] სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის 2018 წლის 24 აპრილის წერილი N GAC-03/425 (რეგ. 01/498, 24.04.2019).

დიაგრამა N1



შენიშვნა:

- 2017 წლის დეკემბერში ერთ-ერთ სუბიექტს გაუუქმდა აკრედიტაცია. ვინაიდან აღნიშნული სუბიექტი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ფლობდა შესაბამის აკრედიტაციას იგი წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის მიჩნეულ იქნა შესაბამის ბაზარზე 2017 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში მოქმედ სუბიექტად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, 2018 წლის მონაცემები არ მოიცავს აღნიშნულ სუბიექტს.
- 2018 წლის მონაცემებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ოთხ სუბიექტს მარტში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბრის თვეში შეუჩერდათ აკრედიტაცია. თუმცა, ვინაიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ისინი ფლობდნენ შესაბამის აკრედიტაციას, დიაგრამაზე მოცემული 2018 წლის მონაცემები მოიცავს ასევე აღნიშნულ სუბიექტებსაც.

როგორც N1 დიაგრამა ცხადჰყოფს, განსახილველი გადაწყვეტილების შემდეგ შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებამდე შესაბამის ბაზარზე ოპერირებდა მხოლოდ 2 ეკონომიკური აგენტი, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღნიშნული ციფრი საგრძნობლად გაიზარდა და 2018 წელს მისი რაოდენობა 37-ს გაუტოლდა. ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობამ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა 2016 წელს, როდესაც მათი რიცხვი შესაბამის ბაზარზე გაიზარდა 7-ჯერ. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს რაოდენობა გაიზარდა 14 სუბიექტით და შეადგინა 28 ეკონომიკური აგენტი.

ზემოთ დასახელებული ციფრები ნათლად მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად შეცვალა შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარება. 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარი ხასიათდებოდა საბაზრო ძალაუფლების ერთი სუბიექტის ხელში კონცენტრაციით. დღეის მდგომარეობით კი ეკონომიკურ აგენტთა სპექტრის მნიშვნელოვნად გაფართოვებიდან გამომდინარე, თამამად

შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი გადაწყვეტილების დადებითი ეფექტი შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაში ეჭვგარეშეა. აშკარაა, რომ სააგენტოს გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი სტიმული მისცა სხვა ეკონომიკურ აგენტებს, შესულიყვნენ სახელმწიფო შესყიდვებში შესაბამისობის დოკუმენტით მომსახურების ბაზარზე და საკუთარი საქმიანობით დაეკავებინათ მნიშვნელოვანი ადგილი ამ ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ეკონომიკური აგენტების რაოდენობის ლიმიტირება ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის შესაბამის ბაზარზე ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, ვინაიდან ქმნის კონკურენციის არსებითად შეზღუდვის საფრთხეს. კერძოდ, როდესაც შესაბამის ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა მცირდება, იზრდება კონცენტრაციის დონე და ამ ბაზარზე მოქმედ მცირე რაოდენობის ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების რისკიც მნიშვნელოვნად მატულობს. შესაბამის ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების დაშვება და მათი რაოდენობის ზრდა კი წარმოადგენს კონკურენციის და შესაბამისად ინოვაციების, წარმოების ეფექტიანობის, ფასების შემცირების, ტექნოლოგიური განვითარების, მიწოდებული მომსახურებისა და საქონლის მრავალფეროვნებისა და ხარისხის გაუმჯობესების უმთავრეს წინაპირობას.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ დამატებით პარამეტრს ასევე წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სადავო სატენდერო პირობა არსებით ბარიერებს ქმნიდა პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის აღსრულებამ კი უზრუნველყო აღნიშნული ბარიერების მინიმუმამდე შემცირება და შესაბამისი ბაზრის მაქსიმალური ლიბერალიზაცია.

5. შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა

განსახილველი გადაწყვეტილების ეფექტების შეფასების მიზნებისათვის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის ცვალებადობის დინამიკა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთობლივი მოთხოვნა შრომაზე პირველ რიგში დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ შესაბამის ბაზარს. თუ შესაბამისი ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობა განიცდის პროგრესს, მოთხოვნა შრომასა და შრომით ძალებზე პროპორციულად იზრდება და აღწევს შესაძლო მაღალ დონეს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ბაზარი კრიზისულ მდგომარეობაშია და განიცდის რეგრესს, შრომაზე მოთხოვნაც შესაბამისად მცირდება. მსგავსი დამოკიდებულება განპირობებულია შესაბამის ბაზარზე წარმოებული პროდუქციისა თუ გაწეული მომსახურების მასშტაბებზე. დადებითი (ხელსაყრელი) ეკონომიკური კონიუნქტურა შესაბამის ბაზარზე ხასიათდება ამ ბაზარზე ოპერირებადი სუბიექტების

შემოსავლის (დოვლათის) ზრდით და შესაბამისად, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციასა თუ გაწეულ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდით, რაც ბუნებრივია იწვევს შრომით ძალებზე მოთხოვნის ზრდასაც. ხოლო არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის შედეგად სურათი რადიკალურად განსხვავებულია - ეცემა შემოსავლის დონე, მცირდება მოთხოვნა პროდუქტსა თუ მომსახურებაზე და შესაბამისად, მცირდება მოთხოვნა შრომით ძალებზე. აღნიშნულის საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის ცვალებადობის დინამიკა წარმოადგენს სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების გავლენის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს.

სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის განსაზღვრისათვის სააგენტომ იხელმძღვანელა სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემებით. ინფორმაცია ეყრდნობა შესაბამისი პერიოდის ბოლო თვის საშემოსავლო დეკლარაციის მონაცემებს, რომელიც აერთიანებს როგორც საშტატო, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომლებზე გაცემულ სახელფასო ანაზღაურებებს.[14]

უნდა აღინიშნოს, ასევე ის ფაქტი, რომ N2 დიაგრამა შედგენილია იმ სუბიექტებთან მიმართებაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფლობდნენ შესაბამის აკრედიტაციას ან აკრედიტაცია გააჩნდათ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და შემდეგ გარკვეული მიზეზით მოხდა აკრედიტაციის შეჩერება ან გაუქმება. როგორც აღინიშნა, ამ სუბიექტთაგან რამდენიმე დაფუძნებული იყო წინამდებარე დოკუმენტის საანგარიშო პერიოდამდე (2014 წლამდე), ხოლო ნაწილი დაფუძნდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. წინამდებარე თავის მიზნებისათვის N2 დიაგრამაზე მოცემული დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დინამიკა ასევე მოიცავს აღნიშნული ეკონომიკური აგენტების სასარგებლოდ მომუშავე პირებსაც, მიუხედავად იმისა, რომ დროის გარკვეულ პერიოდში ეს ეკონომიკური აგენტები არ ფლობდნენ შესაბამის აკრედიტაციას და მათი აკრედიტირება მოხდა მოგვიანებით. აღნიშნული კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მსგავსი მიდგომით უფრო ნათლად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა სააგენტოს გადაწყვეტილებამ და შესაბამისად, ამ სუბიექტების მიერ შესაბამისი აკრედიტაციის მიღებამ სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ ფიზიკურ პირთა რაოდენობაზე.

[14] იხ. 2019 წლის 16 მაისის მოხსენებითი ბარათი N03/168

დიაგრამა N2



- N2 დიაგრამაზე მოცემული მონაცემები არ მოიცავს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს.
- როგორც N1 დიაგრამის შენიშვნაშია მითითებული, 2017 წლის დეკემბერში ერთ-ერთ სუბიექტს გაუუქმდა აკრედიტაცია. ვინაიდან აღნიშნული სუბიექტი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ფლობდა შესაბამის აკრედიტაციას იგი წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის მიჩნეულ იქნა შესაბამის ბაზარზე 2017 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში მოქმედ სუბიექტად. აქედან გამომდინარე, N2 დიაგრამაზე, აღნიშნული სუბიექტთან შრომითსამართელბრივ ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების რაოდენობა ასახულია 2014-2017 წლების მონაცემებში. ხოლო, N2 დიაგრამაზე მოცემული ინფორმაცია 2018 წელთან მიმართებაში არ მოიცავს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებულ მონაცემებს

შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ პირთა რაოდენობამ, წინა წლებთან შედარებით, 2016 წელს განიცადა მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული დიაგრამის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დინამიკაშიც შენარჩუნებულია ზრდის ტენდენცია. კერძოდ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა 2015 წელს ძალზე მცირეა (11 დასაქმებული). ხოლო 2016 წლის დეკემბერში დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა 2015 წლის მთლიან რაოდენობასთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 428 პირი. 2017 წელს აღნიშნულმა რაოდენობამ მიაღწია 663-ს, ხოლო 2018 წლის მდგომარეობით, შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობამ შეადგინა 865 დასაქმებული.

აღნიშნული დინამიკა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა ეკონომიკურმა მდგომარეობამ აშკარა პროგრესი განიცადა, ვინაიდან სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვებში საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ ფიზიკურ პირთა რაოდენობა, 2015 წლამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით, გასამმაგდა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ, როგორც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 31 იანვრის წერილიდან[15] ირკვევა, 2014-2018 წლებში, საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტიდან გათავისუფლდა 11 თანამშრომელი და ბიუროს ინფორმაციით მათი აბსოლუტური უმრავლესობა გადავიდა კერძო სექტორში.

დასკვნა

სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ:

1. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო შესაბამის ბაზარზე კვალიფიციური ეკონომიკური აგენტების რაოდენობის არსებით ზრდას - გადაწყვეტილების მიღებამდე შესაბამის ბაზარზე ოპერირებდა მხოლოდ ერთი აკრედიტირებული სუბიექტი, 2018 წლის მდგომარეობით კი აღნიშნულ სუბიექტთა რაოდენობამ 37 ეკონომიკურ აგენტს მიაღწია.

2. სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების შედეგად შესაბამის ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა შრომასა და შრომით ძალებზე, რაც თავის მხრივ, აისახა ამ ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის მკვეთრ ზრდაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებამ დადებითი იმპულსები შესძინა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარს - მოხდა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობის არსებითი მატება, რამაც პრაქტიკულად შეცვალა ბაზრის სტრუქტურა და გაუმჯობესდა კონკურენტული გარემო.

[15] ლევან სამხარაულის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 31 იანვრის წერილი N5000612119, რეგ. 01/119, 04.02.2019.